

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის
გავლენა სწავლა/სწავლების ხარისხზე ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტში

ავტორი: თამარ მშვიდლობაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

განმცხადებელი: თამარ მშვიდლობაძე

23.06.2017

აბსტრაქტი

უმაღლესი განათლებისადმი გაზრდილი მოთხოვნები ზრდის მისი მიღების ხელმისაწვდომობასა და ხარისხიანი სწავლების აუცილებლობას. უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება-ჩაბარება დღეს ხელმისაწვდომია მრავალი აბიტურიენტისთვის, რომელთა შორის შესაძლოა, აღმოჩნდეს სტუდენტთა კატეგორია, რომელსაც ნაკლებად აქვს შესაბამისი სასწავლო მზაობა იმისათვის, რომ სწავლა განაგრძოს უმაღლეს საფეხურზე. ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს უნივერსიტეტებში სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნების თვალსაზრისით. დაბალ მზაობასა და ხარისხიან განათლებას შორის ბმა არ არის სათანადოდ გამოკვლეული. ამდენად, საკითხი აქტუალურია და მეტ სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია, დაადგინოს გაზრდილი ხელმისაწვდომობის გავლენა სწავლა-სწავლების ხარისხზე. მნიშვნელოვანი განზომილება ხელმისაწვდომობის ზრდაზე მუშაობისას, არის სტუდენტთა მზაობა. ნაშრომი იკვლევს თუ რა გავლენას ახდენს სტუდენტთა მზაობის დონე სწავლა-სწავლების ხარისხზე ერთი უნივერსიტეტის ფარგლებში და არ იკვლევს სრულად უმაღლესი განათლების სისტემის მდგომარეობას.

ნაშრომში წარმოდგენილი რაოდენობრივი კვლევა დაეყრდნო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის 267 სტუდენტისა და 61 პროფესორ-მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვის შედეგებს.

კვლევამ ცხადყო, რომ სტუდენტებს არასრულფასოვნად აქვთ განვითარებული სასწავლო უნარები. ასევე, სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა კლასში გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების ხარისხზე. კვლევის საბოლოო შედეგები კი ადასტურებს, რომ სტუდენტთა დაბალი მზაობა უარყოფითად მოქმედებს სწავლა-სწავლების ხარისხზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სასურველია, საშუალო განათლების საფეხურის მიზანმიმართული და სასწავლო უნართა განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება, მისაღები გამოცდების გადასალახი ბარიერის აწევა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უმაღლესი განათლება, ხელმისაწვდომობა, ხარისხი, მზაობა, სასწავლო უნარები.

Abstract

Increased demand for higher education increases the availability and quality of teaching. Student acceptance is now available for many entrants, among which may be a student category, which is less suitable for admission to the higher level. This issue requires special attention in terms of maintaining the quality of teaching and learning in universities. The link between low-level and high-quality education is not well researched. Thus, the issue is relevant and requires more in-depth study.

The goal of the research presented in this study is to identify the impact of increased availability on the quality of teaching and learning. While working on accessibility a significant dimension is a student's readiness. The study examines the level of student willingness in the level of study and teaching within one university and does not examine the state of the entire higher education system.

The quantitative research presented in this study was based on the results of the survey of 267 students of the Faculty of Science and Arts at Ilia University and 61 professors. The study has shown that students do not have sufficient skills. The increased number of students affects the quality of teaching and learning. The final results of the research confirm that low readiness of students is negatively affecting the quality of teaching and teaching at Ilia State University.

Based on the results of the survey, it is desirable to focus on the targeted and curriculum development of secondary education, to raise the entrance exam barriers and improve the quality of teaching.

Search keywords: Higher education, availability, quality, readiness, learning skills.

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ პირს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ და მეხმარებოდნენ სამაგისტრო კვლევის სრულყოფაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის პროცესში საჭირო და მნიშვნელოვან მითითებებს მაძლევდა.

დიდ მადლობას ვუხდით ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს კვლევის კითხვარებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რჩევებით გაწეული დახმარებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდით ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეს ქალბატონ ნინო კახაძეს, რომელიც ელექტრონული კითხვარების გავრცელებაში დამეხმარა.

მადლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ქალბატონ ირინა ბაზლაძეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი რაოდენობრივი მონაცემების მოწოდებისთვის.

მადლობა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ქ-ნ დალი ცქიტიშვილს მოწოდებული საჯარო ინფორმაციისთვის.